



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

თებერვალი
(აღარი ალექ)
1-15
№3 (331)
(5771)
2011

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

სოსო ცინცაძე: ევროპას ზი არ ვშორდებით, ვუახლოვდებით

ბაზეთ „რეზონანსში“ დაიბეჭდა ინტერვიუ ცნობილ ქართველ პოლიტიკურ მიმომხილველთან ზ-ს სოსო ცინცაძესთან. ამ ინტერვიუში იგი საუბრობს საქართველოსათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ამ ვრცელ და საინტერესო საუბარში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა პასაჟმა, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ:

„რ“: ამერიკაში ჩვენს პრეზიდენტს შეხვედრები ჰქონდა კონგრესში. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ებრაული ლობის გავლენა ამერიკის საკანონმდებლო ორგანოში. ამ დროს კი თბილისში ებრაელ ბიზნესმენებს (თანაც ისრაელის მოქალაქეებს) ასამართლებენ, რომელთა განთავისუფლებაც ისრაელის პრეზიდენტმა პირადად სთხოვა მიხეილ სააკაშვილს. თბილისში ისრაელის ელჩმა კი ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობათა გაუარესებაზეც მიანიშნა. რა შეიძლება მოჰყვეს მთელ ამ ისტორიას?

ს.ც: ამ საქმის გამომძიებელი არ ვარ და დეტალურად არც ბრალდებას არ ვიცნობ. რაც შეეხება განთავისუფლების კატეგორიულ მოთხოვნებს, ეს ისეთი დემოკრატიული და ცივილიზებული ქვეყნისათვის, როგორც ისრაელია, უადგილო, უტაქტო და ბოდიში — თავხედობაა. ერთ მაგალითს გავიხსენებ; გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს ლონდონში ოფიციალური, მეგობრული (როგორც მაშინ უწოდებდნენ) ვიზიტით იმყოფებოდა ნიკიტა ხრუშჩოვი. მისი იქ ყოფნის დროს, ტანსაცმლის მაღაზიაში ქურდობისათვის დააპატიმრეს საბჭოთა მოქალაქე, ბადროს ტყორცნაში ოლიმპიური ჩემპიონი, ნინა პონომარეოვა. ვიზიტის დამთავრების შემდეგ, როდესაც პრემიერი (თუ არ ვცდები, ვილსონი) შედეგებზე მოხსენებას აკეთებდა თემთა პალატაში, ერთ-ერთმა პარლამენტარმა პრემიერს კითხვა დაუსვა, თქვენი აზრით, რა წარმოდგენა აქვს რუსეთის ახალ ლიდერს ჩვენზე. პრემიერის პასუხი ასეთი იყო: ერთ შეხვედრაზე ხრუშჩოვმა მთხოვა, ჩვენ ხომ უნდა ვიმეგობროთ, ჰოდა, დაურეკეთ მოსამართლეს ჩვენი მოქალაქე განთავისუფლოსო. როდესაც დარბაზში ხარხარი შეწყდა, პრემიერმა დასძინა: — აი, ასეთი წარმოდგენა აქვთ ჩვენზე რუსეთში. როგორც ჩანს, ასეთივე წარმოდგენა აქვთ ჩვენზე ისრაელის პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა მინისტრს და ელჩსაც.

არ მინდა, ვიფიქრო, რომ ხრუშჩოვისაგან განსხვავებით ესენი არ ცდებიან. ნუთუ მართლაც ვიმსახურებთ ასეთ შეფასებას? ისე კი ფაქტია, რომ თელ-ავივს აზრადაც არ მოუვიდოდა, ასეთი თავხედური მოთხოვნით მიემართა ევროპის თუნდაც ჩვენზე პატარა რომელიმე ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის. განა, მართლაც ისე ვართ დამოკიდებული ისრაელის ბიზნესმენებზე, რომ მათ სრული ხელშეუხებლობის გარანტია აქვთ? რატომ გამორიცხავენ, აპრიორი მათ დანაშაულს? პირადად მე კარგად მახსოვს გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს თბილისში ჩამოსული ისრაელელი ბიზნესმენები, ბაზალეთის მიდამოებში, დღეში 4-5 კვერცხის მდები ქათმების ფერმის პროექტით რომ „აბოლებდნენ“ აქაურ მთავრობას, სანაცვლოდ კი რეალურ პრივილეგიებს და სხვა სფეროში მოქმედების სრულ თავისუფლებას მოითხოვდნენ. ასე რომ, ამ კონკრეტულ საკითხში, მე მხოლოდ ებრაული მხარის პროტესტის ფორმა არ მომწონს, თუმცა სასამართლოს უმეცდომო გადაწყვეტილებაზე, ბუნებრივია, თავს ვერ დავდებ.

რედაქციისგან: უწინარესად, გვსურს დავადასტუროთ პატივისცემა ისეთი ჩინებული ანალიტიკოსისადმი, როგორც ბატონი სოსო ცინცაძე გახლავთ. ამ კომენტარს არც ვაპყობებით, ზემოთ მოყვანილი ტექსტი რომელიმე პაპარად მოაზროვნე მიმომხილველს რომ ეკუთვნოდეს. ისრაელის პოლიტიკურ მოღვაწეთა ასეთ ირონიულ ტონში მოხსენიება კი სწორედ სოსო ცინცაძისაგან ვაგვიკვირდა. გვგონია, რომ იგი ყურადღებით არ გაეცნო ვაგროვებულ ინფორმაციას. საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ „17 ოქტომბერს ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს დაურეკა და სთხოვა განთავისუფლებინა ორი ისრაელელი, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან იმის გამო, რომ თითქოსდა ქრთამს აძლევდნენ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს.“ თხოვნა რატომ უნდა იყოს ირონიზირების საგანი? ან რას ხედავს უარყოფითს ბ-ნი სოსო იმაში, თუ სახელმწიფოს პრეზიდენტი, ვნებავთ, საგარეო საქმეთა მინისტრი თავისი ქვეყნის მოქალაქეებზე ზრუნავს, მით უმეტეს, თუ მათ ეს საქმე შეთითხნილად მიანიშნავს?

სულაც არა ვართ უარყოფითი აზრის საქართველოს სასამართლოზე, მაგრამ ცოტა ნახევრევი ხომ არ არის ბრიტანეთისა და საქართველოს სასამართლოებს შორის ტოლობის ნიშნის დასმა? ღმერთმა გისმინოს, ბატონო სოსო, თუ ასე იქნა, ცხადია, ფრიად მოხარული ვიქნებით, მაგრამ ჯერ-ჯერობით კიდევ დიდი გზაა გასავლელი. აი, სწორედ ამ გზის გავლის შემდეგ შეიძლება მიუახლოვდეთ ევროპას.

ინფორმაციისთვის დაეხმეთ: ისრაელი ყოველთვის ზრუნავდა, და კვლავაც ზრუნავს თავისი მოქალაქეების უსაფრთხოებასა და სიცოცხლეზე. ბატონ სოსოზე უკვეთ ვის მოეხსენება, რომ ისრაელს თავისი ერთი ჯარისკაცი ასობით ტერორისტში გაუცვლია.



ბულითადი მილოცვა

დღეს ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი, ფილოსოფიის პროფესორი ალექსანდრე მაშკევიჩი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, მრავალ მილოცვას ღებულობს.

ამას წინათ იგი აირჩიეს რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის ალექსანდრე მაშკევიჩის სახელთან დაკავშირებულია საქართველოს ებრაელობისადმი ყურადღების არაერთი ფაქტი. ზოლო ამ ორიოდე წლის წინათ სწორედ მისი ინიციატივით იქნა რესტავრირებული თბილისის აშქენაზ ებრაელთა ბეთ ქნესეთი.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია გულითადად უერთდება მრავალთა მილოცვას და ამ დიდებულ მეცენატს, საქართველოს ებრაელობის გულითად მეგობარს უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებას.

იცნობთ საქართველოს ებრაელობას? დავით აზიზოვი

— ბ-ნო დავით, გვიამბეთ თქვენი ცხოვრებისეული გზის თაობაზე. საიდან დაიწყო რელიგიის მსახურებისაკენ თქვენი სწრაფვა?

— გავიზარდე ტრადიციულ ებრაულ ოჯახში, ჩვენი ადათ-წესების თანახმად. ყველა ის წესი და დღესასწაული, რომელიც დამახასიათებელია საქართველოში მცხოვრები ებრაული ოჯახისათვის, ჩვენს ოჯახშიც, რა თქმა უნდა, აღინიშნებოდა. სიმართლე გითხრათ, ბავშვობიდანვე მქონდა რელიგიისადმი ლტოლვა. მახსოვს, ვიყავი პირველ კლასში, როდესაც გაიხსნა წიგნი, სადაც სასკოლო ასაკის ბავშვები მიგვიჩვენეს. იქ დაგვიჩვენეს პატარა ბროშურები, რომლებსაც რუსულად „მოი სიდურ“ ერქვა. იგი ლამაზად იყო ილუსტრირებული და მასში შესული იყო პრინციპები ყველა ის ლოცვა, რომლის თქმაც ბავშვს დილით ევალებოდა. სხვათა შორის, ეს სიდური დღემდე მაქვს შენახული. მე მას ყოველდღიურად ვკითხულობდი, იქვე იყო ივრითული ტექსტის რუსული თარგმანი, მაგრამ რაც შეეხება დღესასწაულებს, რომლებიც ყველა ძალიან მიყვარდა, სიმართლე გითხრათ, ბოლომდე ვერ ვხვდებოდი, თუ რა დატვირთვა ჰქონდათ. თუნდაც იმ ქიფურის დღე. თორის მიხედვით, სავალდებულოა, რომ ყველა ებრაელმა მამაკაცმა თუ ქალმა, გარკვეული ასაკიდან იმარხულოს, რაც თავისთავად რთულია. ასევე არ მქონდა ბოლომდე გააზრებული სხვა ტრადიციები, მახსოვს, იმ ქიფურზე მამაჩემს საღამოს ჩავეყავი სალოცავში. ჯამათი იმდენად დიდი იყო, რომ შიგნით შესვლას ვერ ვახერხებდით და გარედან ვისმენდით მოფარის ხმას. აი, სწორედ ყველაფერ ამის ახსნა-განმარტება, თუ რატომ ხდებოდა ასე სამწუხაროდ, არ ვიცოდი. ვიცოდი უბრალოდ, რომ ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი დიდი დღე ებრაელებისათვის. ყოველთვის მინდოდა ეს ყველაფერი გამეგო.



მინდა აღვნიშნო, რომ იმ პერიოდში, როდესაც სკოლაში ვსწავლობდი, შემდეგ კი უკვე იემივამი, თორას ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულით ვსწავლობდი და ამავდროულად მკაცრად ვეკიდებოდი წესებს, რომელსაც იგი ითვალისწინებდა. სხვათა შორის გამჩენის შენეებით, ძალიან ბევრმა ახალგაზრდამ შეისწავლა იმ პერიოდში ჩვენი რელიგია. ჩვენ უკვე არა მხოლოდ ტრადიციულად ვუყურებდით ამ რიტუალებს, არამედ შინაარსობრივად გვესმოდა, თუ რას ვაკეთებდით და რას გამოვხატავდით თუნდაც ლოცვით ან სხვა მოქმედებით.

ყველაფერმა მან განაპირობა ჩემი გზის ნელ-ნელა აწყობა ისე, რომ სასულიერო გზა ამერჩია. როდესაც აშკენაზთა სალოცავში ვკითხულობდი სეფერ თორას, ბ-ნი არიელ ლევინი მოვიდა და მითხრა დიდ სალოცავში გადავსულიყავი, რადგან ამ სალოცავის ხაზანი, რომელიც შაბათობით ლოცულობდა მეორე მინიანში და შესაბამისად დღესასწაულებზეც ისრაელში გაემგზავრა. მივედი სახლში, მოვითათბირე ოჯახში მითხრეს, რომ დიდ სალოცავში ადვილი არ იქნებოდა, ვინაიდან იგი დიდი ტრადიციების მატარებელია. აქ მოღვაწეობდნენ უდიდესი რაბინები — რაბინი კუბჩანი, რაბინი ხახამ ყიმანუელი, რაბინი ისრაელ ბაბალიკაშვილი და სხვა დიდი რაბინები. წარმოიდგინეთ, მათ ფონზე დიდ სალოცავში ახალგაზრდა, 16-17 წლის ბიჭი რომ შედის. ჩემთვის უცნობი იყო მლოცველთა რეაქცია. მშობლებმა გადაწყვეტილება მე მომანდეს. გადავწყვიტე გადავსულიყავი. კარგად მახსოვს, პირველი შაბათი, მაშინ გაბნა იოსებ დავითაშვილი, ხოლო გაბაის მოადგილე არონ ჯანაშვილი იყვნენ, ისინი ასე ვთქვათ, გვერდში დამიდგნენ, შეიძლება ითქვას გამამხნევეს კიდევ. დიდი სალოცავიდან ჩავედი აშკენაზთა სალოცავში, რადგანაც ძალიან მიყვარდა იქ მისვლა და ყოველთვის ჩავედიოდი ხოლმე. ასე მოხდა დიდ სალოცავში პირველი შაბათის ჩატარების შემდეგაც, ბ-ნი არიელი მახსოვს თებზე იჯდა, დამინახა, დამიძახა და ღიმილით მეკითხება: -Тебя уже оттуда выгнали? მეც

გამელიმა და ვუპასუხე:

- Рав Ариэль представьте, еще нет. საერთოდ ძალიან მაძლიერებელი ვარ ჯამათის, იმისათვის, რომ მიმილო, გულში ჩამიკრა, ამომიდგა მხარში, რადგან ფაქტიურად მის თვალწინ გავიზარდე და ჩამოვყალიბდი როგორც პიროვნება. მაგრამ ამავე დროს, ვიდრე ჯამათი გამოცნობდა განსაკუთრებით მინდა გამოვყო ბ-ნი შალვა თეთრუაშვილი და ბ-ნი კაკო პაპისმედოვი, რადგან ეს ადამიანები ყოველთვის მედგნენ გვერდში. ბატონმა შალვამ შემასწავლა ქართულ-ებრაული მინაგი, ნიგუნები. ამ ადამიანს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩემს სასულიერო ცხოვრებაში და მე კი ის ადამიანი ვარ, რომელსაც არ უყვარს სიკეთის დავინყება. არ დამავინყდება, როდესაც პირველად იმ ქიფურის დღეს ვილოცე, როგორც ხახამს, ძალიან გამიჭირდა და ბ-ნი შალვა იდგა ჩემთან ერთად მთელი დღის განმავლობაში და ლოცულობდა. ეს, მართლაც რთული დღე იყო, რადგანაც, ასე ვთქვათ, პირველი გამოცდილება იყო ჩემთვის, როდესაც სრულად, დილიდან საღამომდე ვილოცებოდი, რა თქმა უნდა, გამიადვილდა. თუმცა, მოგეხსენებათ, თავიდან ადამიანს სჭირდება გვერდში დგომა, ამის გარეშე ძალიან რთულია მარტომ გაიკვალო გზა.

კიდევ ერთხელ და ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ მაძლიერებელი ვარ ჯამათის, რადგანაც ვიგრძენი მისგან ის სითბო, რომელმაც მომცა საშუალება უფრო მეტი შემართებით და ენთუზიაზმით შემსახურა.

აქვე მინდა გავიხსენო ერთი პატარა ეპიზოდი ბავშვობიდან... როდესაც პატარა ვიყავი, მამასთან და ბიძასთან ერთად ყოველ პარასკევს ჩავდიოდი სალოცავში, მივდიოდი და ვდგებოდი ბაბუის გვერდზე და როდესაც ვუყურებდი ხახამს, ყოველთვის მიკვირდა მისი და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ თავად გავხდებოდი ხახამი, რადგან ბავშვობაში ძალიან მორცხვი ვიყავი. თუმცა, გამჩენის წყალობით, მეზგო წილად ეს დიდი მისია და დღესაც დიდი სიხარულით ვუძღვები ამას.

— როგორ ხედავთ, როგორ დაახასიათებდით ხახამის ფუნქციას? რა როლს უნდა ასრულებდეს იგი ჯამათის ცხოვრებაში?

— ხახამის ფუნქცია არ არის ადვილი. ხახამ დავით ბუზუკაშვილის ისრაელში წასვლის შემდეგ, პრინციპში ეს მთელი ჯაფა, ჯამათის მტკიცებელი საკითხები. დამანვა მე. სიმართლე გითხრათ თავიდან არ მესმოდა და გააზრებულიც არ მქონდა ბოლომდე თუ რაოდენ რთული მისია იყო ეს, რა ფუნქციები შედიოდა ჩემს მოვალეობაში. როდესაც მლოცავდნენ უფროსი ადამიანები, ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ დიდი მისია მაკისრია, რომ საპასუხისმგებლო ნაბიჯი გადავდგი ცხოვრებაში...და მისურვებდნენ ყოველივე სიკეთეს. რა თქმა უნდა, მაძლიერებელი ვიყავი, თუმცა, ბოლომდე არ მქონდა გააზრებული თუ რას გულისხმობდნენ ისინი. ხახამზე ბევრია დამოკიდებული, იგი ვალდებულია ჯამათის გვერდში იყოს ყოველთვის და ყველაფერში, რადგანაც მასზე დამოკიდებულია თუ როგორ წარიმართება ჯამათის სასულიერო ცხოვრება. როდესაც ხახამი სათავეში უდგება ჯამათს, მან უნდა ჩათვალოს, რომ ეს მისი დიდი მოჯახია და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაყოს ხალხი სოციალურ ფენებად.

— ხახამმა როგორ უნდა წარმართოს ჯამათის ცხოვრება, როგორ გაუძღვეს მას?

— კარგი შეკითხვაა... პირველ რიგში, როდესაც ჯამათის წევრებს დახმარება სჭირდებათ, იგი ყოველ

დასასრული მე-7 გვერდზე



რაბინ ისრაელის დამსახურებაა მე რომ სეფერ თორის კითხვა დავინყე. ამავე დროს უფლება არ მაქვს აქვე არ გავიხსენო ცხოვრებული ქოები მალქიელ ეხისკელაშვილი, რომელიც აშკენაზთა სალოცავში მსახურობდა. სწორედ მან შეუნარჩუნა ამ სალოცავს ის, რომ ყოველდღიურად ტარდებოდა ლოცვა და იგი არ დაკეტილა. ისეთ დროსაც კი 1991-92 წლებში, სამოქალაქო ომის დროს ეს ადამიანი ყოველთვის ზრუნავდა იმაზე, რომ მინიანი შემდგარიყო. მისივე მონაყოლიდან მახსოვს, რომ იყო დრო, როდესაც თვითონ იყო მლოცველიც და ამავდროულად ლოცვის ქოენიც. როდესაც თეფილინი დავიდე, ყოველდღიურად დავინყე აშკენაზთა სალოცავში სიარული და სეფერ თორის კითხვა. მახსოვს, როდესაც პირველად ნავიკითხე სეფერ თორა, მალქიელ პაპამ — ასე ვეძახდი მას, თებზე სახალხოდ დამლოცა, რის შემდეგაც პრინციპში დამნიშნეს ამ სალოცავის სეფერ თორის ნამკითხველად და ხაზანად.

ბათუმური საჯანბი

ამ ამბავს დიდი ხნის, დაახლოებით ოცი წლის, ისტორია აქვს და მისი ზოგიერთი პერიმეტრის გამომდინარე საზოგადოებრიობის ყურამდე კი აღწევდა, მაგრამ რამდენადმე მოგუდულად. შარშან ოქტომბერში კი ამ ისტორიამ კვლავ მიიპყრო ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება, თანაც არა მარტო საქართველოში, არამედ ისრაელში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სხვაგან. 14 ოქტომბერს ბათუმში წარმოშობით ებრაელი ბიზნესმენი რონი ფუქსი და ერთ დროს მისი ფირმის თანამშრომელი ზევე ფრენკელი დააკავეს. დღესდღეისობით თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილი ამ ორი პირისა და კიდევ ერთი უცხოელი ბიზნესმენის, ეროვნებით ბერძენი იოანის კარდასოპულუსის საქმეს იხილავს (თუმცა ეს უკანასკნელი საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება). აღნიშნულ პირებს წაყენებული აქვთ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლით, რომელიც ქრთამის შეთავაზებისა და მიცემისათვის თავისუფლების 5-დან 8-წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს, თუკი დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი.

საქმის ვითარების გასარკვევად მსჯავრდებულთა ინტერესების დამცველს, ადვოკატს არჩილ კბილაშვილს ვენვით.

სანმოკლე ქორწინება

— ბიზნესმენები რონი ფუქსი და იოანის კარდასოპულუსი 1992 წელს საქართველოში მაშინდელ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუასთან და სს „საქნავთობის“ თავკაც რევაზ თევზაძესთან მოლაპარაკების გასამართად ჩამოვიდნენ. მათ, როგორც ინვესტორთა ინტერესს, „საქნავთობთან“ ერთად საქართველოს ტერიტორიაზე ერთობლივი საწარმოს შექმნა წარმოადგენდა, რომელსაც 30 წლის ვადით გადაეცემოდა საქართველოში არსებული ნავთობის რესურსების მოძიება, მათი გამოყენებისა და მართვის ექსკლუზიური უფლება, — თქვა ბატონმა არჩილ კბილაშვილმა. — გამართულ მოლაპარაკებათა შედეგად 1993 წელს მხარეებს შორის გაფორმდა საკონცესიო ხელშეკრულება, რომლის პირობების თანახმად იმ დროისათვის უკვე შექმნილ ერთობლივ საწარმოს, რომლის 50-50 პროცენტით მენილეები ბატონების რონი ფუქსისა და იოანის კარდასოპულუსის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი კომპანია, ხოლო საქართველოს მხრიდან სს „საქნავთობი“ იყვნენ, რომლის აქციათა 100 პროცენტის მფლობელი სახელმწიფო იყო, საქართველოში არსებული ნავთობსადენები და ის უფლებები გადაეცა, რომლებიც ნავთობის ძენა-ძიების, ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფადაა საჭირო.

1993-95 წლებში აღნიშნული ერთობლივი საწარმო ამ უფლებებით სარგებლობდა, მაგრამ 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით

კონცესია გაუქმდა, ხოლო მისი უფლებები იმხანად ახლადშექმნილ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას გადაეცა, რომელსაც გიორგი ჭანტურია ხელმძღვანელობდა.

ამრიგად, ბატონებმა რონი ფუქსმა და იოანის კარდასოპულუსმა სწორედ მაშინ დაკარგეს საქართველოში თავიანთი საინვესტიციო უფლებები, სწორედ ამ დროს დასრულდა ამ ლამის დეტექტიური ისტორიის პირველი ეტაპი და შემდგომი მოვლენების ჩანასახიც გაჩნდა. მართალია, „საქნავთობის“ „ქორწინება“ უცხოელ ინვესტორებთან ხანმოკლე გამოდგა. სამაგიეროდ, „განქორწინების“ ექო სადღეისოდაც ძალუმად გაისმის.

... მაგრამ „მარდებმა“ მოუსწრეს

— მოყოლებული 1995-დან ვიდრე 2003 წლამდე პერიოდს, პირობითად, ამ ისტორიის მეორე ეტაპი შეიძლება ვუწოდოთ, რა დროსაც ბატონები ფუქსი და კარდასოპულუსი საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, რომელთა მიზანი საინვესტიციო უფლებების ჩამორთმევით მიყენებული ზარალის კომპენსაციის მიღება იყო, — განაგრძობს ბატონი არჩილ კბილაშვილი. — ხაზს ვუსვამ: კომპანია „საქნავთობთან“ ერთად ისინი იყვნენ ერთობლივად შექმნილი კომპანიის 50-პროცენტისანი წილის მფლობელები და მათთვის საინვესტიციო უფლებების ჩამორთმევის შემდეგ აღარ ჰქონდათ იმ სარგებლის მიღების შესაძლებლობა, რომელსაც საწარმოს მუშაობის პირობებში მიიღებდნენ.

საკითხის გასარკვევად, აღნიშნულ პერიოდში, საქართველოს მთავრობამ არაერთი სამთავრობო კომისია შექმნა, რომელსაც სხვადასხვა დროს რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი ხელმძღვანელობდა, ნევრები კი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები იყვნენ. რამდენადაც ვიცი, ექვსი თუ შვიდი კომისია შეიქმნა, მაგრამ მთელი მუშაობა ფუჭი გამოდგა, რადგან საბოლოო, დამაჯერებელი დოკუმენტი ვერ დადო.

მეტეც: ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ 2003 წელს, ბატონების ფუქსისა და კარდასოპულუსის ძალისხმევით, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი ჩამოვიდა, როგორც საკუთარი იურიდიული ფირმის მფლობელი, რომელიც უცხოელი ინვესტორების ინტერესებს წარმოადგენდა. ბატონი კისინჯერი საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო და ისინი შეთანხმდნენ, რომ მოიწვევდნენ საერთაშორისო აუდიტორულ ფირმას, რომელიც დაადგენდა უცხოელ ინვესტორთათვის გადასახდელი კომპენსაციის თანხას.

მაგრამ, მოხდა ისე, რომ როცა საერთაშორისო აუდიტორულმა ფირმამ მუშაობა დაასრულა, იმ

დროისათვის საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, კომპენსაციის გადახდის თაობაზე თხოვნის მორიგი განცხადებით ფუქსმა და კარდასოპულუსმა უკვე „ვარდების მთავრობას“ მიმართეს, მით უმეტეს, რომ დამოუკიდებელი საერთაშორისო აუდიტორის დასკვნა უკვე ხელთ ჰქონდათ.

შედეგა მორიგი სამთავრობო კომისია, რომელსაც, ვიდრე 2004 წელს პრემიერ-მინისტრი გახდებოდა, მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია ხელმძღვანელობდა. კომისიამ საკითხი განიხილა და გამოიტანა დასკვნა, რომ საქართველოს მთავრობას ბატონების ფუქსისა და კარდასოპულუსისთვის არანაირი კომპენსაცია არ უნდა გადაეხადა, რადგან საკომპენსაციო თანხის გადახდაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო არ ყოფილა. ეს დასკვნა მოცულობით დიდი არ არის, მასში კი ის აზრია გატარებული, რომ უცხოელ ინვესტორებთან ერთობლივი საწარმოს შემქმნელი „საქნავთობი“ არა სახელმწიფო კომპანია (თუმცა სახელმწიფო მისი 100-პროცენტისანი წილის მფლობელია), არამედ კერძო ფირმაა. ამდენად, საქართველოს მთავრობამ უცხოელ ინვესტორებს საბოლოო უარი უთხრა კომპენსაციის გადახდის თაობაზე, — დაასრულა ისტორიის მეორე ეტაპის პერიპეტეიების მოყოლა ბატონმა ადვოკატმა.

ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად გულწრფელი იყო ედუარდ შევარდნაძე, როცა ჰენრი კისინჯერს კომპენსაციის გადახდას მისი ოდენობის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ განსაზღვრის შემდგომ დაჰპირდა, მაგრამ ექვს არ ინვესტის ის, რომ საბოლოო უარი უცხოელ ინვესტორებს იმ სამთავრობო კომისიამ უთხრა, რომელსაც ზურაბ ჟვანია თავკაცობდა.

რა ღირს ღაპა?

— საქართველოს მთავრობისაგან კომპენსაციის გადახდაზე საბოლოო უარის მიღების შემდეგ უცხოელმა ინვესტორებმა, წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად საინვესტიციო დავათა საერთაშორისო ცენტრს მიმართეს, — იწყებს ამბის მესამე ეტაპის შესახებ საუბარს ბატონი არჩილ კბილაშვილი. — უნდა გითხრათ,

რომ ეს საარბიტრაჟო ინსტიტუტი მსოფლიო ბანკთანაა შექმნილი და დებულებით, რომლის სავალდებულო ძალას, სხვათა შორის, მისი ნევრი ყველა სახელმწიფო, მათ შორის საქართველო (იგი ამ დოკუმენტს 1992 წელს მიუერთდა) აღიარებს, მხოლოდ და მხოლოდ ინვესტორებსა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის წამოჭრილი დავების განხილვას.

2005 წელს ბატონებმა ფუქსმა და კარდასოპულუსმა საინვესტიციო დავათა საერთაშორისო ცენტრში შესაბამისი განცხადება შეიტანეს და მთელი ხუთი წლის განმავლობაში — ვიდრე 2010 წლამდე, იქ ამ დავის განხილვა მიმდინარეობდა. უნდა გითხრათ, რომ ესაა ძალიან რთული პროცედურა, საქმის გარჩევისას ორივე მხარეს საერთაშორისო იურიდიული ფირმები წარმოადგენდნენ.

საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო პროცესი 2010 წლის 3 მარტს დასრულდა, როცა ტრიბუნალმა მეტად ვრცელი, 240-გვერდიანი დასკვნა გამოაქვეყნა. მასში, კერძოდ, აღიარებულია, რომ საქართველოს მთავრობამ შელახა უცხოელ ინვესტორთა რონი ფუქსისა და იოანის კარდასოპულუსის უფლებები, როცა 1995 წელს ნავთობის კონცესია გააუქმა, რის შედეგად მათ, ზარალის ასანაზღაურებლად, თითოეულს 15-15 მილიონი დოლარი მიეკუთვნა. ამასთან, დადგინდა იქნა, რომ 1995-დან 2010 წლამდე დროის შუალედში თითოეულ თანხას შესაბამისი პროცენტით დაერიცხა, რამაც კიდევ დამატებით 30-30 მილიონი დოლარი შეადგინა. ერთობლიობაში ეს თანხები რომ დაჯამდა, გამოვიდა, რომ საქართველოს მთავრობას (ანუ სახელმწიფო ბიუჯეტს, ანუ, იგივე, ჩვენ ყველას ერთად, პატივცემულო მკითხველო - ავტ.) უცხოელ ინვესტორთათვის მთლიანად გადასახდელი აქვს 90 მილიონი დოლარი, რა თანხაც კიდევ დაახლოებით 8 მილიონი დოლარი დაემატა, რაც ამ ხნის მანძილზე ბატონებმა ფუქსმა და კარდასოპულუსმა იურიდიულ მომსახურებაში გასწიეს.

— აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საერთაშორისო საინვესტიციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება კონფიდენციალური იყო და რომ არა მისი გახმაურება საქართველოს



სასამართლო სხდომის დარბაზში

მთავრობის მიერ, საზოგადოებრიობისთვის იგი სადღესობად უცნობი იქნებოდა, რადგან მის გამოქვეყნებას არავინ აპირებდა, — ასე დაასრულა ამ ამბის შესახებ ეტაპის თაობაზე საუბარი ბატონმა არჩილ კბილაშვილმა.

ჩვენი მხრივ კი გვინდა ყურადღება მივაქციოთ სხვა, თვალის ერთი გადავლებით მეორეხარისხოვან გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შორის დავა ჯერჯერობით საბოლოოდ მაინც არ არის გადაწყვეტილი, რის შესახებ ლაპარაკი შემდგომ გვექნება, ერთი რამ ცხადია: ორივე მხარე დავის პროცესში საერთაშორისო იურიდიული ფორმების მომსახურებით სარგებლობდა და თუ უცხოელ ინვესტორებს მათი კვალიფიციური დახმარება 8 მილიონი დოლარი დაუჯდათ, განა საქართველოს მთავრობამ ნაკლები თანხა გაიღო? ეს თანხაც, როგორც, ჩანს, „იმ“ 98 მილიონ დოლარს უნდა დაემატათ, თუმცა როგორც ქვემოთ ვნახავთ, საქმე არც 98 მილიონი დოლარით შემოიფარგლება.

დოლარების „პარტიზონის“ ჭამი

— ყოველივე ამის შემდეგ, ანუ შარშანდელი მარტიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობა ცდილობდა მოსარჩელე მხარეებთან მოლაპარაკებით 98 მილიონ დოლარზე ნაკლები თანხის გადახდის შეთანხმების მიღწევას, — ასე ახასიათებს ბოლო ერთი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესს ბატონი კბილაშვილი. — აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ვიდრე საქართველოს მთავრობა ბატონების ფუქსისა და კარდასოპულუსის კუთვნილ 98 მილიონ დოლარს მთლიანად არ გადაიხდის, ამ თანხას დამატებით იმავე ოდენობის პროცენტები ერიცხება, რა ოდენობითაც თავდაპირველად მიკუთვნილ 15-15 მილიონ დოლარს ერიცხებოდა, ვიდრე ბოლოს 30 მილიონ დოლარად არ „იბარტყა“. აქედან გამომდინარე, ძნელი გამოსათვლელი არ არის, რომ საქართველოს მთავრობას სადღესობად უცხოელ ინვესტორთათვის არა 98, არამედ 104-105 მილიონი დოლარი აქვს გადასახდელი!

მას შემდეგ, რაც საინვესტიციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება გამოქვეყნდა, მისადმი მხარეების სხვადასხვანაირი მიდგომა გამოიკვეთა. ამჟამად თბილისის საოლქო სასამართლოში სწორედ ამ ორი პოზიციის ჭიდილი მიმდინარეობს.

საქართველოს მთავრობის პოზიცია ის გახლავთ, რომ, როცა ქვეყანას 98 მილიონ დოლარის გადახდა დაეკისრა უცხოელ ინვესტორთა საარგებლოდ, ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა სამინისტროს ბიუროს მაშინდელ მთავარ მრჩეველს ავთანდილ ხარაიძეს მათთან მოლაპარაკების გამართვა დაავალა გადასახდელი თანხის შესამცირებლად. უშუალოდ მოლაპარაკებების გამართვამდე, რომლებსაც ინვესტორთა მხრიდან ყოფილი ერთობლივი საწარმოს თანამშრომელი ზევე ფრენკელი ანარმოებდა, რომელიც ამჟამად ბატონ ფუქსთან ერთადაა დაკავებული, ბატონი ხარაიძე უკვე მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. მთავრობის ოფიციალური ვერსიით, უცხოელმა ინვესტორებმა მინისტრის მოადგილეს, ქრთამის სახით, ჯერ 5 მილიონი დოლარი შესთავაზეს, შემდგომ ეს თანხა 7 მილიონამდე

გაიზარდა. ამ ფულს ისინი იმაში იხდიდნენ, რომ ბატონ ხარაიძეს ყველა ღონე ეხმარა საიმისოდ, რათა მომავალი მორიგება ბატონებისათვის ფუქსისა და კარდასოპულუსისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი ყოფილიყო. მოლაპარაკებათა მრავალი რაუნდის გამართვის შემდეგ მხარეებმა საბოლოოდ მიიღწიეს შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ 2010 წლის 14 ოქტომბერს მორიგებას ხელს მოაწერდნენ, რისთვისაც უცხოელი ინვესტორები ბათუმში მიიწვიეს. მორიგების არსი ის იყო, რომ მისი „ღირებულება“ არა 98 მილიონი, არამედ 72 მილიონი დოლარი ყოფილიყო, თანაც აქედან 7 მილიონი დოლარი ქრთამის სახით უცხოელ ინვესტორებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ავთანდილ ხარაიძისთვის, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებისთვისაც გადასაცემად უკან საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო. ვიმეორებ, ასეთია საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვერსია.

შეთანხმებაზე ხელმოსაწერად შარშან ოქტომბერში საქართველოში ორიდან ერთი ინვესტორი, რონი ფუქსი ჩამოვიდა, რომელიც ბათუმში დააკავეს კიდევ. მასთან ერთად, როგორც აღვნიშნე, დააკავეს ზევე ფრენკელი, რომელიც მოლაპარაკებებში აქტიურად იყო ჩაბმული. საქართველოს პროკურატურამ ბრალი ასევე იოანის კარდასოპულუსსაც წაუყენა ქრთამის მიცემამი ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობაში, მაგრამ იგი ამჟამად საბერძნეთშია.

ახლა რაც შეეხება უცხოელ ინვესტორთა პოზიციას. მას შემდეგ, რაც საინვესტიციო ტრიბუნალმა დასკვნა გამოაქვეყნა, საქართველოს რამდენიმე წარმომადგენელს მათთან დაკავშირების მცდელობა ჰქონდა, მაგრამ, იმის გამო, რომ ისინი არ იყვნენ მალაილი თანამდებობის პირები, ანდა მათი შეთავაზებები არ ეფუძნებოდა სერიოზულ საყრდენს, ინვესტორები ამ წინადადებებს იგნორირებდნენ. მაგრამ შარშან აგვისტოს დასაწყისში ფინანსთა სამინისტროს ბიუროს მთავარი მრჩეველის — ავთანდილ ხარაიძისგან მიღებული წინადადება მათ სერიოზულად აღიქვეს. აგვისტოს პირველ ნახევარში პირველი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც რევაზ თევზაძეც მონაწილეობდა. ამ შეხვედრიდან ცოტა ხნის შემდეგ ბატონი ხარაიძე ფინანსთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, რამაც უცხოელ ინვესტორებს კიდევ უფრო მეტად გაუღვივა იმისი რწმენა, რომ საქმე მთავრობის ნდობით აღჭურვილ პირთან აქვთ. მოლაპარაკებების დროს გაირკვა, რომ ფინანსთა მინისტრის მოადგილეს პირობა ჰქონდა, რომ 72 მილიონი დოლარის კომპენსაციის მისაღებად აუცილებელი იყო ამ თანხის ნაწილის, კერძოდ, 5 მილიონი დოლარის საქართველოშივე უკან დაბრუნება. მოგვიანებით ამ თანხას კიდევ 2 მილიონი დოლარი დაემატა. ამჟამად კი თბილისის საოლქო სასამართლოში მიმდინარეობს კამათი იმის თაობაზე, თუ კერძოდ ვისგან მომდინარეობს საქართველოში ამ 7 მილიონი დოლარის „დაბრუნების“ ინიციატივა.

თუ რა ფორმით უნდა დაბრუნებულიყო ის 7 მილიონი დოლარი საქართველოში, ამის თაობაზე ბატონი ფუქსი ამბობს: მე ვუთხარი, რომ აუცილებლად მჭირდებოდა ნებისმიერი სახის ოფიციალური ინვოისი, რადგან ის საბუთი იურისტებისთვის, ასევე იმ სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელთათვის უნდა მეჩვენებინა, ვინაც საარბიტრაჟო დავა დააფინანსეს. თან დავამატებ, რომ ვინაიდან თქვენ ხართ ფინანსთა მინისტრის მოადგილე და აღნიშნულ მოთხოვნას აყენებთ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, ჩვენ ამას განვიხილავთ როგორც საქართველოს მთავრობის მოთხოვნას, ამდენად სულაც არ გვანინ-

ინი ვინაიდან თქვენ ხართ ფინანსთა მინისტრის მოადგილე და აღნიშნულ მოთხოვნას აყენებთ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, ჩვენ ამას განვიხილავთ როგორც საქართველოს მთავრობის მოთხოვნას, ამდენად სულაც არ გვანინ-



ტერესებს, თუ რომელ ანგარიშზე, ან რომელ ფონდში ჩაირიცხება ეს 7 მილიონი დოლარი, მთავარია ამის ოფიციალური დოკუმენტი გვექონდეს ხელთ. თანხის გადარიცხვის საბოლოო ტექნიკური დეტალები კი სწორედ ბათუმში, 2010 წლის 14 ოქტომბერს გასამართი შეხვედრის დღის წესრიგში გათვალისწინებული იყო პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის ერთსაათიანი შეხვედრა, რომელზეც სწორედ ეს დეტალები უნდა დაეზუსტებინათ.

საზანაღი

ადვოკატ არჩილ კბილაშვილის თქმით, ამრიგად, საქმე გვაქვს ორ განსხვავებულ პოზიციასთან.

— იკითხეთ: განა რა სჯიდა უცხოელ ინვესტორებს დათანხმებოდნენ 65 მილიონ დოლარს, როცა მოგებული 98 მილიონი დოლარი ჰქონდათ? — თავად სვამს კითხვა და თავადვე უპასუხებს იურისტი: — საქმე ის არის, რომ საინვესტიციო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა ერთი წელიწადი, რა პროცედურაც ამჟამად მიმდინარეობს, ხოლო შემდგომ, საბოლოო გამარჯვების შემთხვევაშიც კი, მოგებული მხარისათვის ამ თანხის ამოღება საკმაოდ რთული და უსიამო პროცედურაა, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეულ ხარჯსაც მოითხოვს, თან დროშია განელილი.

შეთანხმების მიხედვით კი, 72 მილიონი დოლარიდან 7 უკან საქართველოში უნდა დაბრუნებინათ, დანარჩენი 65 მილიონი დოლარი კი ორ ტრანშად — პირველი შარშან წლის დამლევად, მეორე კი 2011 წლის პირველ ნახევარში უნდა გადაერიცხათ. ამდენად, მძიმე პროცედურების თავიდან აცილება და თანხის თუნდაც რაღაც დანაკარგით, მაგრამ უმეტესი ნაწილის მაინც დროის გარკვეულ მონაკვეთში უპრობლემოდ მიღება, უცხოელ ინვესტორთათვის ამ გარიგებაზე დათანხმების მოტივაცია გახდა.

ვიდრე 2010 წლის 14 ოქტომბრის ბათუმის შეხვედრა გაიმართებოდა, მანამდე გარიგების დეტალები სტ-

ამბოლში შეხვედრისას დააზუსტეს, გასარკვევი, როგორც აღვნიშნე, მხოლოდ ტექნიკური დეტალები დარჩა. ქართული მხარე გარიგებაზე ხელმოწერას ბათუმში ითხოვდა, რაზეც უცხოელი ინვესტორები თავს იკავებდნენ იმ მოტივით, რომ საქართველოში ისინი დაუცველები იქნებოდნენ. მათ უსაფრთხოებაში დასარწმუნებლად, 12 ოქტომბერს, შეხვედრამდე ორი დღით ადრე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მათ მიწვევა გაუგზავნა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ბატონ რონი ფუქსს
ბატონ იოანის კარდასოპულუსს
ძვირფასო ბატონებო,
პირველ რიგში ნება მომეცით, გამოვხატო ჩემი კმაყოფილება მიმდინარე მოლაპარაკებების მიმართ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან. მე დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ ვიპოვებთ მისაღებ გამოსავალს. მტკიცედ მჯერა, რომ ეს შეხვედრა, რომელიც უახლოეს მომავალში გაიმართება, დიდად შეუწყობს ხელს ამ შეთანხმების დასრულებას. ასეთი შეხვედრა მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ ვიმჯუჯლოთ ყველა დეტალზე და უეჭველად პოზიტიური ეფექტი ექნება საკითხის მეგობრული მოგვარებისთვის. ამასთან დაკავშირებით, უკვე მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, ნება მიბოძეთ ოფიციალურად მოგიწვიოთ თქვენ ბათუმში 2010 წლის 14 ოქტომბერს, რათა დავასრულოთ მორიგება და ხელი მოვანეროთ მას.

(12.10.106)

გარდა ამ მიწვევისა, რამაც რონი ფუქსს საქართველოში ჩამოსვლა გადააწყვეტინა, თუმცა კი იოანის კარდასოპულუსი მას მაინც არ ენდო, უცხოელ ინვესტორებს ასევე არწმუნებდნენ, რომ საქართველოში ჩამოსვლა იმიტომაც იყო საჭირო, რომ ამხელა თანხის გადახდის ვალდებულება საქართველოს მთავრობასა და პრემიერ-მინისტრს მოსახლეობისთვის მაქსიმალურად მისაღები პიარტექნოლოგიით უნდა მიენოებინათ. კერძოდ, კი ლაპარაკი იქნებოდა იმაზე, რომ 72 მილიონი დოლარი ისევე ბათუმის ინფრასტრუქტურაში იქნებოდა ინვესტირებული აქედან გამომდინარე ყველა დადებითი შედეგით.

ითარ ტურაბულიძე

P.S. რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ, პატივცემულო მკითხველო, იმაზე მეტი, რაც ითქვა? დასკვნა, როგორც ჩანს, ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე უნდა გამოვიტანოთ. ერთი კი ნაღდა: მომხდარის გამო ისრაელის საზოგადოება ერთიანად აღშფოთებულია და ბატონ არჩილ კბილაშვილის თქმით, საერთო განწყობა ისეთია, რომ საქართველოში არა მარტო ისრაელიდან, არამედ მრავალი სხვა ქვეყნიდანაც ინვესტიციების მოცულობის გაზრდას კი არა, პირიქით, შემცირებას უნდა ველოდოთ. ამ ამბით შეწუხებული არიან ასევე ისრაელის მთავრობაშიც, რაც საქართველოში ისრაელის ელჩის იცხაკ გერბერგის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძისთვის მომხდართან დაკავშირებით საპროტესტო ნოტის გადაცემით გამოიხატა.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
იანვარი, 2011 წ.

კატასტროფის დღე მთელ მსოფლიოში აღინიშნა

სტამბოლი

27 იანვარს სტამბოლის უდიდეს სინაგოგაში „ნევე შალომ“ ძველი ისტორიული ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა. აქამდე თურქეთის მთავრობა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შესაბამისი განცხადების პუბლიკაციით შემოიფარგლებოდა ხოლმე.

NEWSRU.COM-ის ინფორმაციით, გაითქმენა „ნევე შალომში“ ცერემონიალი თურქეთის მთავარი რაზინის ისაქ ჰალაქის სტამბოლის გუბერნატორის ავნი გუტლუსა და თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა.

წინა დღით თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელიც აღასტურებდა ოფიციალური ღონისძიებების ჩატარებას. მან ასევე დაგმო ანტისემიტური და რასიზმი, იტყობინება გაზეთში „ჰურიეტი“.

„ჩვენ პატივს მივამბობთ მილიონი ებრაელისა და სხვა ეროვნულ

უმცირესობათა ხსოვნას, რომლებიც ნაცისტების მიერ იყვნენ დახოცილნი“ — ნათქვამია თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დღევანდელ განცხადებაში. დიპლომატიურმა უწყებამ ხაზი გაუსვა იმას, რომ მიუღებელია ჰოლოკოსტისადმი დამოკიდებულება იყო ისეთი, როგორც შორეული წარსულისადმი და საზოგადოებას მოუწოდა უკეთესი სამართლებრივი შედეგის მიღებისაკენ.

ამავდროულად ჩვენ პატივს მივამბობთ ჩვენ დიპლომატებს, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად ნაციზმის მსხვერპლს ეხმარებოდნენ. ამ აღნიშვნის დამსახურებით ჩვენ ვამაყობთ საკუთარი ისტორიით, აღნიშნა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

თურქეთის მთავარი რაზინის კანცელარია გაავრცელა თავისი განცხადება ჩასატარებელი ღონისძიების შესახებ. განცხადებაში ხაზი გაესვა ჰეველა ძველის მიერ ანტისემიტური, ისლამოფობიის, რასიზმისა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის გამოსატყვის წინააღმდეგ ბრძოლასთან აშუცილებლობას.

ბრიუსელი

ევროპის ებრაულმა კონგრესმა 25 იანვარს ბრიუსელის ევროპარლამენტში გამართა ჰოლოკოსტის დღისადმი მიძღვნილი საღამო, კატასტროფაში დაღუპულების ხსოვნას. ექვსი პრეზიდენტთან ვიზიტთან ერთად დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა (ევროსაბჭოს თავმჯდომარე) ვიქტორ ორბანმა, ევროპარლამენტის ხელმძღვანელმა იეჟი ბუზეკმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა მწერალმა ელი ვიხელმა, გამორჩენილმა ებრაელმა მწერალმა და ფილოლოგმა რონ დაუდერმა, ევროპული კოალიციის ისრაელისათვის თავმჯდომარემ ტომას სანდელმა, ევროპული ებრაული თემთა ცენტრის პრეზიდენტმა ავი ტავილმა, ისრაელის ინფორმაციისა და დიასპორის მინისტრმა იული ედელშტიენმა.

ამ ტრიბუნლიდანაც, როგორც პრინციპში ყველა მის გამოსვლაში, ექვსი პრეზიდენტმა ვიზიტთან ერთად და გონიერად ადამიანის ისტორიის გადახედვისა და ქსენოფობიის, შუღლის, რასიზმის, ეროვნული და რელიგიური მტრობის წინააღმდეგ გამოსვლისაკენ მოუწოდა. კანტორმა აღნიშნა, რომ ნაციონალური საკონცენტრაციო ბანაკებისა და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი სწორედ წითელმა არმიამ ითამაშა. ბოლო დროს, კანტორის სიტყვებით, ევროპულ ინტელექტუალურ და პოლიტიკურ წრეებში განსაკუთრებით მოდური სტალინიზმისა და ნაციზმის გაიგივება. „მოდით, ყურადღებით გადავავლოთ თვალი იმას, თუ ვინ და რატომ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ვინ დაასრულა. დაასრულა იგი წითელმა არმიამ. განსახილველი მეტი არაფერია, მათი უსაზღვროდ მაღლიერნი უნდა ვიყოთ.“

კანტორი აქტიურად უწევს პროპაგანდას და ცდილობს საყოველთაოდ ტოლერანტობის იდეის დანერგვას, ახალ თაობაში მოთმინებისა და ჰუმანიზმის აღზრდას.

ექვსი პრეზიდენტი ინიციატივით გამოვიდა შექმნილიყო ევროპული საბჭო ტოლერანტობისა და მორიგების საკითხებში არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ძირითადად ევროპაში ტოლერანტობის სიტუაციას მიადევნებდა თვალ-ყურს, ასევე ერთაშორისი და სხვადასხვა კულტურათა ურთიერთობების სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, პრაქტიკული რეკომენდაციების მომზადებას მოემსახურებოდა.

ECTR-ის შემადგენლობაში გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ლიდერები, მეცნიერები, ნობელის პრემიის ლაურეატები, ცნობილი პიროვნებები შედიან, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მიიღეს თავიანთი თვალსაზრისით მიღწევებისათვის ჰუმანიტარულ საკითხებსა და ტოლერანტობის განმტკიცების საქმეში.

25 იანვარს ბრიუსელში უნგრეთის პრემიერ-მინისტრთან ვიქტორ ორბანთან შეხვედრისას ვიზიტთან ერთად და გონიერად ადამიანის ისტორიის გადახედვისა და ქსენოფობიის, შუღლის, რასიზმის, ექსტრემიზმის წინააღმდეგ ქმედებას მიაქცევდა დიდ ყურადღებას. უნივერსიტეტის განთავსება მიზანშეწონილია ძველი ევროპის ტერიტორიაზე — უნგრეთში ან ჩეხეთში. ეს საშუალებას იძლევა მისი აქტიურობის ნაკლები ხარჯი იქნას გამოყენებული.

ექვსი პრეზიდენტი ასევე ისაუბრა ევროპაში ეროვნული პარლამენტების დონეზე ტოლერანტობის სფეროში კანონმდებლობის სასწრაფო წესით შემუშავების აუცილებლობაზე, რომლის რეგლამენტის თანახმად განისაზღვრებოდა ქცევისა და ტოლერანტობის ნორმების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი.

25 იანვარს ბრიუსელში პრეს-კონფერენციაზე, სასტუმრო „კონრადში“ ჟურნალისტებთან საუბრისას კანტორმა თქვა, რომ ექვსი სისტემურ სამუშაოებს ატარებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, ევროპული ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან და რუსეთის მთავრობასთან საკანონმდებლო ბაზის რეფორმებისა და ამ პროცესით საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირებისათვის რეკომენდაციების გამოყოფის საკითხებში. ექვსი პრეზიდენტმა მოუწოდა ევროპის სამოქალაქო საზოგადოებას ძალთა გაერთიანებისაკენ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პოლიტიკოსის გამოცდილების საფუძველზე ჩვენ უნდა მივხედეთ, რომ ზოგიერთ მოვლენას არაფრით არ უნდა შევგუოთ, — განაცხადა კანტორმა. ტოლერანტობა ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის, ამის გარეშე ჩვენ ვერ ვიარსებებთ. ნებისმიერი ინოვაციური პროცესი, ადამიანის არსებობის ნებისმიერ სფეროში შეუძლებელია იქნას რეალიზებული ტოლერანტობის გარეშე. თუმცა, ზოგიერთ რამესთან ტოლერანტობა შეზღუდული უნდა იყოს, ხოლო ზოგიერთთან მიმართებაში კი საერთოდ არ უნდა არსებობდეს.

„ჩვენ კარგად უნდა ვიცნობდეთ კაცობრიობის ისტორია ალბათ, ყველაზე რთულ მეცნიერებას — როგორ ვიყო ტოლერანტულები. ევროპა უნდა იყოს ტოლერანტული კონტინენტი ყველას მიმართ, ვინც არის ტოლერანტული,“ — დაასრულა ვ. კანტორმა.

თბილისი

2011 წლის 27 იანვარს დილის 10 საათზე თბილისის დიდ სალოცავში გაიმართა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ცერემონიალი.

ჰოლოკოსტის საერთაშორისო ხსოვნის დღე მიღებულ იქნა 2005 წლის 1 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 60/7. აღნიშნული თარიღი შეირჩა, რადგანაც 1945 წლის 27 იანვარს მოკავშირეთა ჯარების მიერ განთავისუფლებულ იქნა ნაცისტების კლანჭებიდან ერთ-ერთი ყველაზე დიდი საკონცენტრაციო ბანაკი ოსვენციმი — ირკენაუ (პოლონეთი).

ღონისძიება ჩატარდა საქართველოს პარლამენტის ვიცე სპიკერის ქ-ნ რუსუდან კერვალიშვილის მხარდაჭერით, ებრაელ ქალთა ორგანიზაციათა ინიციატივით და თბილისის დიდი სინაგოგის გამგეობის მხარდაჭერით.

ღონისძიება გახსნა ებრაელ ქალთა საბჭოს და ფონდი „ლეას“ პრეზიდენტმა მარინე სოლომონიშვილმა, სიტყვით გამოვიდნენ: გაეროს მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ჯიმ მაკგოლდრიკი, პარლამენტის ვიცე სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი, ისრაელის ელჩი საქართველოში იცხაკ გერბერგი, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის დეპარტამენტის უფროსი ზვიად ზვიადაძე და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხთა სამმართველოს უფროსი მკა ხვიჩია, ამერიკის გაერთიანებული ებრაული კომიტეტების (ჯდ(ც) წარმომადგენელი ზურაბ დავითაშვილი, ებრაული სააგენტო ისრაელისათვის (ჯაფი) საქართველოში წარმომადგენლის სახელით სიმა ოფირი, ასევე ებრაული, ქართული და ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოების თვალსაზრისით წარმომადგენლები — ჯამლეტ ხუხაშვილი, ზაირა დავარაშვილი, ზიზი შაფთოშვილი, ეთერი თოფჩიაშვილი-გიგინიშვილი, ქოენი რაფაელ მესენგისერი, გიორგი ხუციშვილი, ფრიდონ თოდუა.

აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გაეროს რეზოლუცია ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის ყოველწლიური დღის დანესების თაობაზე და მისი ერთობლივად აღნიშვნა, რათა საზოგადოებას შევახსენოთ მეორე მსოფლიო ომის დროს ნა-



დასასრული მე-8 გვერდზე

რას ვპიტიხ ულობი ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი



ს ე ნ ო რ ა

სიკვება „თრუმა“ წმინდა ენიდან ითარგმნება როგორც „შესაწირავი“. კვირის საკითხავი თავი თრუმა განიხილავს უღატონოში მოძრავი გაძრისა და მისი შიგთავის ამენების საკითხებს.

წმინდა მიწებისათვის და არ „იღებენ“, მაშ რაგომ წერია „აიღონ“? პასუხში კი იგულისხმება ის, რაც სურს გამჩენს გვასწავლოს - კეთილ საქმეთა ქმნით აღამიანი იღებს იმაზე გაცილებით მეტს, რასაც გაცემს.

სიკვების „ასერ“ - გამოყავი შენი შემოსავლის მეთაული ნაწილი და „ამერ“ - სიმდიდრე, ერთილიაგვიყავი. გამოყავი მეთაული და გამდიდრდები.

ერთხელ რაბი ლუპიანი (კურთხეულია წმინდანის ხსოვნა) ერთ მდიდართან და სთხოვა ღარიბებისათვის გამოეყო განსაზღვრული თანხა. მდიდარი კაცი უკვე ხანში იყო შესული და ძალიან ხელმოჭერილი ბრძანდებოდა.

რაბი ლუპიანი უთხრა: „მე მოგიყვები იგავს და შენ მიხვდები, თუ რა ღაგემართა. იყო ერთი კაცი, რომელსაც თრი პროფესიის არჩევა შეეძლო. ის ან იუველირი უნდა გამხდარიყო, ან მჭედელი. მან მჭედლობა აირჩია.

ასევეა ის აღამიანი, რომელსაც შესაწირი მიაქვს მოძრავ გაძრში (მიწაწმინდა). თუ ზეციური მეფე თანახმაა მიიღოს მისი ძღვენი, მაშინ ეს საჩუქარი იმ აღამიანისათვის, რომელიც სწირავს მას.



ალბათ, აქამდე ვერ შემოვრჩებოდი. ხოლო, რაც შეეხება არჩევანს, კი, რა თქმა უნდა! ღმერთმა მარგუხა ეს ბედნიერება და ეს ჯილდო, ჩავდგომოდი ჩვენს ჯამაათს სათავეში, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი მეტქმის.

— თუ წარმოგიდგენიათ თქვენი ცხოვრება სხვა-ნაირად წარმართულიყო, თუნდაც დღეს არ ყოფილიყავით ხახამი...

— საინტერესო შეკითხვაა... ფვიქრობ, რომ ჩემი ხასიათიდან და შეხედულებებიდან გამომდინარე, მაინც ისეთ გზას დავადგებოდი, რომელიც ხალხის სამსახურს წარმოადგენდა.

— ისტორიულად თბილისის ჯამაათი შესანიშნავი ტრადიციების მატარებელია. რას იტყვით, დღევანდელ ჯამაათზე, როგორ დაახასიათებდით მას?

— ეს განსაკუთრებული ჯამაათია, ყველა გადმო-სახედიდან. რა თქმა უნდა, ყველაფერს აქვს თავის პლიუსიც და მინუსიც, მაგრამ როდესაც პლიუსი სჭარბობს, ეს ძალიან კარგია. ჩვენს ჯამაათს ერთი განსაკუთრებული თვისება აქვს: მას უყვარს გვერდში დგომა. არაერთხელ და ორჯერ მომხდარა ასეთი რამ: როდესაც ჭირს მიანიანს მეგროვება, არ ყოფილა შემთხვევა მე ეს ჯამაათში გამოემეცხადებინოს და ჯამაათს გულთან არ მიეტანოს და არ დახმარებოდა გაჭირვებულ აღამიანებს.

სამაგალითოდ დავასახელებდი უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვის შემთხვევებს. აქ ჯამაათი ყოველთვის ერთსულოვანია. ასეთ შემთხვევებში, ჯამაათის გვერდში დგომაში განსაკუთრებით გამოირჩევა ბ-ნი სოსო აჯიაშვილი.

ქნებ ცელკის გაცემის შემთხვევაში შენ ორჯერ ან, შეიძლება, სამჯერაც უფრო მეტად გამდიდრებულიყავი.“

მშენებელი იგავს გვიყვება ხაფე-ხაიმი იმის შესახებ, თუ როგორ ინახავენ ფულს და არ აძლევენ ღარიბებს: იყო ერთი გლეხი, უბრალო აღამიანი, რომელმაც დათვლა არ იცოდა. ერთხელ მან ბაზარში გომრებით ფქვილი მიიგანა გასაყიდად და ძალიან ეშინოდა, რომ მოგყუებდნენ. როცა მყიდველი გამოჩნდა, მოილაპარაკა მასთან: ფქვილის ყოველი გომარა ათი მანეთი ღირს და, იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რამდენი გომარა აიღე, ყოველი გომრის ალების შემდეგ ყუთში კაპიცი უნდა ჩალო. ე.ი. თუ ყუთში ოცდაათი კაპიცი აღმოჩნდებოდა, მყიდველს სამასი მანეთი უნდა გადაეხადა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მყიდველი პატიოსნად ღებდა ყუთში კაპიცი ყოველი გომრისათვის. მაგრამ რომელიღაც მომენტში გლეხმა, დაინახა რა, რომ არაფერს უყურებდა, ყუთიდან ამოიღო რამდენიმე კაპიცი. ვინ ღარჩა საბოლოოდ მოგყუებული? გასაგებია, რომ ყოველი მოპარული კაპიციისათვის გლეხმა ათი მანეთი წააგო. ამ გლეხის მაგალითზე ხაფეც ხაიმი გვიყვებს იმ აღამიანებს, რომლებიც საკუთარ თავს აყლებენ ცელკას, რომელსაც არ აძლევენ ღარიბებს.

სიკვების „და აიღებენ ჩემთვის შესაწირავს“ და არა „მომცემენ კიდე ერთი ახსნა აქვთ: თუ ის, ვისაც სწირავენ, წარჩინებული აღამიანია, მაშინ მიმღები თითქოს თავად გასცემს. თუ ვინმე რაიმეს ჩუქნის მეფეს და მეფე თანახმაა მიიღოს ეს საჩუქარი, მაშინ ძღვენს უძღვის არა ის აღამიანი, რომელიც აძლევს, არამედ მეფე, რომელიც დათანხმდა მიიღოს ის.

ასევეა ის აღამიანი, რომელსაც შესაწირი მიაქვს მოძრავ გაძრში (მიწაწმინდა). თუ ზეციური მეფე თანახმაა მიიღოს მისი ძღვენი, მაშინ ეს საჩუქარი იმ აღამიანისათვის, რომელიც სწირავს მას.

ასევეა ის აღამიანი, რომელიც გასცემს ცელკას. საჭიროა ღვიმსახურით გამჩენის წყალობა, რათა გვერდეს გასაცემი და, რომ ის, რასაც გაცემთ, დახარჯოს წმინდა საქმეებისათვის. გამჩენმა დაგვაძალიანოს ყველანი ასეთ კეთილ საქმეებზე.

ელთვის მათ გვერდით უნდა იდგეს. ჯამაათი უნდა გრძნობდეს, რომ ხახამი მის გვერდითაა. ხოლო როდესაც ჯამაათი ამას გრძნობს, ცხადია, იგივეთი პასუხობს. რაც შეეხება, ასე ვთქვათ, ფორმულას, ასეთი რამ არ არსებობს, ყველას ინდივიდუალური მიდგომა აქვს. სადაც საჭიროა ხახამის სიტყვა, მან აუცილებლად უნდა თქვას, მიუხედავად ასაკისა, პირობითად რომ ვთქვათ, თუ ხახამი ხედავს უსამართლობას, იქით არ უნდა გადაიხაროს საითკენაც ქარი უბერავს. ხოლო სადაც საჭიროა თბილი, აღამიანური მხარდაჭერა აქაც უნდა იყოს პირველი და არა იმიტომ, რომ ხახამია, არამედ იმიტომ, რომ ყველა ისრაელის შვილი ვალდებულია ერთმანეთს გვერდში დაუდგეს. „ყველა ისრაელის შვილი პასუხისმგებელია ერთი-მეორეზე“ - ასე წერია პირველი-ავოთში. წერია თორაში „მიდევარ შეკერ ტირხაკ“, რაც ნიშნავს განერიდე სიცრუეს, „ცედეკ, ცედეკ ტირდოფ“ — სიმართლეს, სიმართლეს მიჰყევი. მიყვარს ჭეშმარიტება, შესაბამისად ვაფასებ ჭეშმარიტებას, ვუფრთხილდები ნამდვილ მეგობრობას, ხოლო ყველაფერ მოჩვენებითს მინდა განვერიდო. მომნოს და მივდევი ერთი ბრძენის ნათქვამს, რომელიც ღაღადებს: „ღმერთო დამიფარე მეგობრებისგან, მტრებს თავად გაეუმკლავდები“.

— როგორ მიგაჩნიათ — თქვენ ასრულებთ ამ მისიას? და საერთოდ კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი არჩევანით?

— რაც შეეხება შეკითხვის პირველ ნაწილს, ალბათ უკეთესი იქნება ჯამაათს დაუსვათ ეს შეკითხვა, რადგან მე შეიძლება ჩამეთვალოს სუბიექტურობაში (იციინის). თუმცა, ამ მისიას, რომ ვერ ვასრულებდე,



მოამზადა ლილია ზომენკო

ცისტების მიერ 6 მილიონი უდანაშაულო მსხვერპლის თაობაზე რომ, ძალზედ მნიშვნელოვანია ებრაული სათემოსათვის საქართველოს და საერთაშორისო საზოგადოების თანადგომა, განსაკუთრებით ირანის მხრივ მტრული დამოკიდებულებისა და ევროპის რიგ ქვეყნებში ანტისემიტიზმის გააქტიურების ფონზე, რომ კიდევ ერთხელ გვინდა ერთობლივად შევავსენოთ საზოგადოებას ისტორიის მწარე მაგალითი არ უნდა განმეორდეს. გაეროს ძირითადი დეკლარაცია ხომ ადამიანის დისკრიმინაციის დაუშვებლობა განურჩევლად მისი რასის, სქესის, ეთნიკური, რელიგიური, კუთვნილებისა.

ალინიშნა, რომ იერუსალიმში ჰოლოკოსტის ისტორიის მუზეუმის „იად ვა შემ“ ეზოში არის „წმინდანების“ ხეივანი იმ არაებრაელთა ხსოვნის აღსანიშნავად, რომელთაც იხსნეს ებრაელები, მათ შორის არიან გერმანელი ეროვნების შინდლერი, ირინა სანდლერი, ქართველი გრიგოლ ფერაძე და სხვები. ადამიანის ჰუმანურობას და სიკეთეს ეროვნება არ აქვს, ებრაელების სარწმუნოებაში ნათქვამია „...მან, ვინც იხსნა ერთი სიცოცხლე-გადაარჩინა მთელი მსოფლიო...“

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი კეთილმეგობრული ურთიერთდამოკიდებულებაა, მეტი აქცენტი საჭირო, რათა ეს ტოლერანტული ურთიერთდამოკიდებულება გადაეცეს ახალგაზრდა თაობას.

ლონისძიების დასასრულს მარინე სოლომონიშვილმა ებრაელ ქალთა ორგანიზაციების სახელით მადლობა გადაუხადა დამსწრეთ თანადგომისათვის, განსაკუთრებით ქ-ნ რუსუდანი კერვალიშვილს იმ გულსხმიერებისათვის, რომელსაც მუდამ გრძობენ ქალთა ორგანიზაციები და ებრაული სათემო მისი მხრივ და თბილისის დიდი სალოცავის გამგეობის წევრებს — თამაზ და გია გორელაშვილს, გურამ თეთრაშვილს, მერაბ ჩანჩალაშვილს და სხვა.

ცერემონიის ბოლოს დიდი სინაგოგის გამგეობის წევრების და სხვა ოფიციალური პირების მიერ აინთო ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის სანთლები, რიტუალური კურთხევა „კადიში“ წაიკითხა ქონმა რაფაელ მესენგისერმა და რაბინმა დავით აზიზოვმა.

მარინე სოლომონიშვილი
ქართულ-ებრაული საინფორმაციო ცენტრის და საერთაშორისო ფონდი „ლეას“ ებრაელ ქალთა საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი



რივა კრუპნიკი

რივა კრუპნიკი ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს ებრაელთა მასობრივი ალიისათვის ბრძოლაში – ადგენდა და რედაქციას უკეთებდა იატაკქვეშა სიონისტური ორგანიზაციის დოკუმენტაციას, ავრცელებდა სიონისტურ ლიტერატურას, კავშირს ამყარებდა საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში მოქმედ იატაკქვეშა ჯგუფებთან, ხელს აწერდა ფრიალ სარისკო მიმართვებს, ხელს უწყობდა ებრაული ენის შემსწავლელი ჯგუფების ჩამოყალიბებას და ასე შემდეგ.

მუშაობდა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თანამშრომლობდა თბილისში და საკავშირო მასშტაბით გამოშვებულ რუსულენოვან პრესაში, თარგმნიდა ლიტერატურას იდიშიდან, ავროვებდა ებრაულ ფოლკლორს.


1987 წელს რივა კრუპნიკმა შექმნა ებრაული წიგნის მოყვარულთა კლუბი „სეფერ“. ამ კლუბის ჩარჩოებში საზოგადოების წინაშე გამოდიოდნენ ებრაელი მწერლები, უჩვენებდნენ ისრაელის ფილმებს, ფილმებს, ისმოდა მართალი სიტყვა ისრაელზე.

1990 წლიდან იგი ითვლება ებრაელ ქალთა პირველი ორგანიზაციის „მირიამის“ პრეზიდენტი საქართველოში, აგრეთვე ებრაული საკვირაო სკოლის დირექტორია. ეს სკოლა არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ კულტურულ ცენტრად იქცა. მანვე უხელმძღვანელა პირველი საქველმოქმედო ორგანიზაციის „რახამიმის“ ჩამოყალიბებას.

1991 წელს რივა კრუპნიკმა ჩამოაყალიბა პირველი საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი „იამიმ“ საქართველოში, აგრეთვე, პირველი ებრაული საოჯახო ბანაკები „სიმხა-98“ და „სიმხა – 99.“

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული რ. კრუპნიკი ხელმძღვანელობს ფრიალ საპასუხისმგებლო პროექტს „ხესედ ელიაჰუ.“ იგი სამჯერ იყო ებრაულ ორგანიზაციათა ყრილობის „ვაადის“ დელეგატი საქართველოდან, მონაწილეობდა აგრეთვე, ებრაელ ქალთა მესამე მსოფლიო კონგრესში იერუსალიმში. 1996 წელს რივა კრუპნიკი როგორც ისრაელის, აგრეთვე საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციების მხარდაჭერით და ყურადღებით სარგებლობდა.

რივა კრუპნიკმა გულთბარი მადლობის წერილი მიიღო თანამედროვეობის ერთ-ერთი დიდი კინორეჟისორისაგან – სტივენ სპილბერგისგან მის მიერ ჩატარებული დიდი მუშაობის გამო კატასტროფასთან („შოა“) დაკავშირებული მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის მოძიების გამო.



ჩვენგან წავიდა ჩვენს თემზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება
რივა კრუპნიკი.
მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გაატარა ჩვენი ერის სამსახურში დაუშურვებლად იღვწოდა მომავალი თაობის აღსაზრდელად.
თუ რაოდენ დაიმსახურა მან სიყვარული და პატივისცემა, ამის დასტური იყო 31 იანვარს, თბილისის დიდ სალოცავში მის პატივსაცემად მოსული საზოგადოების სიმრავლე.
დაე, ნათელში იყოს მისი სული და წინ მიუძღოდეს თავისი კეთილი საქმეები.
თამაზ გორელაშვილი, მერაბ ჩანჩალაშვილი, სოსო აჯიაშვილი, ფირუზ კოჩობაშვილი, მიშა ჯანაშვილი, რეზო შათაშვილი, სოსო მოშიაშვილი, მალხაზ ნანიკაშვილი

ჯულიეტა და რამინ იაკობაშვილები
გამოხატავენ ღრმა გულისტკივილს
ქ-ნი რივა კრუპნიკის
გარდაცვალების გამო

მადლენა და ალექსანდრე ლიგერმანები (ისრაელი) გამოხატავენ ღრმა გულისტკივილს
ქ-ნი რივა კრუპნიკის
გარდაცვალების გამო

საქველმოქმედო ორგანიზაცია „ხესედ ელიაჰუს“ თანამშრომლები გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას ყოფილი თანამშრომლის
ქ-ნი რივა კრუპნიკის
გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ახლობლებს.